დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი №12 , 20.12.2021წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად

მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი უფლებამოსილია, საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
2. მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
3. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პერსონალის მოწვევის საჭიროებას ადგენს ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

მუხლი 2. მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს:
   ა) სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
   კლინიკური დისციპლინის განხორციელების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტს აგრეთვე უნდა ჰქონდეს ბოლო 5 წლის კლინიკური მუშაობის გამოცდილება და კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.
   ბ) პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დარგის

შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
კლინიკური დისციპლინის განხორციელების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტს აგრეთვე უნდა ჰქონდეს ბოლო 5 წლის კლინიკური მუშაობის გამოცდილება და კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

2. მოწვეული პერსონალის შერჩევას, ამ მუხლის 1 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან ერთად, მოსაწვევი პირის ავტობიოგრაფიის, კვალიფიკაციისა და შესაბამისი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დაგროვებული ქულების შესაბამისად (დანართი 1).
მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

3. კანდიდატის ვერ შერჩევის შემთხვევაში ცხადდება კონკურსი.
კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი საბუთები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.geomedi.edu.ge).
საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი. კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. კანდიდატის შერჩევა ხდება საკონკურსო კომისიის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების საფუძველზე დაგროვებული ქულების შესაბამისად (დანართი 1).
გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება კონკურსის მონაწილეებს.

4. მოწვეულ პერსონალად, ამ წესით განსაზღვრული შერჩევის პროცედურების გავლის გარეშე, შესაძლოა დაინიშნოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელთანაც კონტრაქტის ვადის გასვლის საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა, შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

5. შერჩეულ მოწვეულ პერსონალთან ფორმდება კონტრაქტი „ბ“ 3 წლის ვადით. კონტრაქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შრომითი ურთიერთობის გაგრძელება.

მუხლი 3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

ბ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ავტობიოგრაფია CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

დ) პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სალექციო კურსის განხორციელების შემთხვევაში);

ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების სია, კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ორი ფოტო სურათი ელექტრონული (CD) სახით;

ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

თ) კლინიკური დისციპლინის შემთხვევაში: კლინიკური მუშაობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა და შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი;

ი) კლინიკური დისციპლინის განხორციელების შემთხვევაში კანდიდატმა, რომელიც არ მოღვაწეობს უნივერსიტეტის კონტრაქტორ კლინიკებში, უნდა წარმოადგინოს თანხმობის წერილი კლინიკის ხელმძღვანელისაგან, სადაც განხორციელდება სასწავლო პროცესი.

კ) ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის (B2 დონე) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილების დამადასტურებელი

დოკუმენტაცია, ან საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის განმავლობაში განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert), ან გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

1. ზეპირი კომუნიკაციის უნარი
2. ანალიტიკური აზროვნების უნარი
3. მოტივაცია

თითოეული კრიტერიუმი ფასდება მაქსიმუმ 3 ქულით:

- 3 ქულა - კარგი.
- 2 ქულა - დამაკმაყოფილებელი.
- 1 ქულა - არადამაკმაყოფილებელი.